ბრძანება:**№20. 2023306128**

თარიღი:**02/11/2023**

გორის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმის - „Civil Participation in Decision Making Toolkit (CPT)“ დანერგვის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

ევროპის საბჭოსა და გორის მუნიციპალიტეტს შორის 2022 წლის 22 სექტემბერს დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლითაც გორის მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულება: უზრუნველყოს სტრატეგიებში, პოლიტიკის დოკუმენტებსა და პრაქტიკაში სამოქალაქო მონაწილეობის ევროპული სტანდარტებისა და ინსტრუმენტების ინტეგრირება, კერძოდ, წევრი სახელმწიფოების მიმართ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2018)4 ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესახებ, სახელმძღვანელო მითითებები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის კარგი პრაქტიკის კოდექსი; გააძლიეროს ადგილობრივ დონეზე ქმედებები, რათა მოქალაქეები აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ხელი შეუწყოს სამოქალაქო მონაწილეობას ადგილობრივ დონეზე; მონაწილეობა მიიღოს გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების აქტივობებში, ადგილობრივ გამოწვევებსა და მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ახალი სტანდარტების, ინოვაციური პრაქტიკისა და ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით; მონაწილეობა მიიღოს ევროპის საბჭოს პროექტის „მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ აქტივობებში ევროპის საბჭოს სტანდარტებისა და ინსტრუმენტების პუპულარიზაციითა და კარგი პრაქტიკის მაგალითების გაზიარების გზით ევროპის საბჭოს პროექტის იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 31 ოქტომბრის №20.202330465 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ევროპული სტანდარტებისა და ინსტრუმენტების ინტეგრირების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტში დაინერგოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმი „Civil Participation in Decision Making Toolkit(CPT)“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმის - „Civil Participation in Decision Making Toolkit (CPT)“ დანერგვის მიზნით მიზანშეწონილია გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ა“, „ა.ე“ „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 ნოემბრის №11-2023306173-20 წერილის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გორის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმის - „Civil Participation in Decision Making Toolkit (CPT)“ დანერგვის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში „სამუშაო ჯგუფი“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ალექსანდრე თარხნიშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე);

ბ) თინათინ ხუროშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის თანაშემწე (სამუშაო ჯგუფის მდივანი);

გ) დავით კვერნაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის მრჩეველი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

დ) ზვიად ანესაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ე) ეკატერინე კაპანაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების განყოფილების ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ვ) სოფიო ნოზაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მე-3 რანგის 1-ლი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ზ) მაია გოგიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების მე-3 რანგის 1-ლი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

თ) ლეილა მაზმიშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვის და ოჯახის სოციალური მუშაკი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ი) გიორგი ედიშერაშვილი - ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს“ ხელმძღვანელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

კ) ნინო გოლოშვილი - ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის მართვის სააგენტოს“ თანამშრომელი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ლ) ინგა ტარიელაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

მ) ოთარ გვრიტიშვილი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

ნ) სოსო მეზვრიშვილი (სამუშაო ჯგუფის წევრი).

2. ბრძანების 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფს დაევალოს გორის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმის - „Civil Participation in Decision Making Toolkit (CPT)“ დანერგვის მიზნით განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

3. სამუშო ჯგუფის სხდომებს იწვევს და თავმჯდომარეობს სამუშო ჯგუფის თავმჯდომარე. სამუშო ჯგუფის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს სამუშო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის დავალებით.

4. სამუშაო ჯფუფის მდივნს ევალება სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, სამუშაო ჯგუფების საქმისწარმოების განხორციელება, მათ შორის, ოქმების და სამუშაო ჯგუფის სამიანობისთვის სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარმოება, სამუშაო ჯგუფების საქმიანობასთან დაკავშირებული, სამუშო ჯგუფების თავმჯდომარის/სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმჯდომარის სხვა დავალებების შესრულება.

5. სამუშო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სამუშაო ჯგუფის სხდომის თავმჯდომარის ხმას.

6. გადაწყვეტილებებს სამუშაო ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებული იმ საკითხების შესახებ, რომლებიც არ არის რეგულირებული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ან ამ ბრძანებით, იღებს სამუშაო ჯგუფი.

7. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი